



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 409/ს
18/08/2023

409-21-4-202308181639



ქ. რუსთავში შპს „ჯეო-ფილერის“ სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯეოფილერის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2018 წლის 30 მაისს შპს „ჯეო-ფილერის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების „ფილერის“ (მინერალური შემავსებლის) საწარმოს მშენებლობა/ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-395), რომლის შესაბამისად, საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ რუსთავში, ჯავახიშვილის ქ. №9-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 5 300 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.05.03.699). ობიექტი განთავსებულია კაპიტალურ შენობაში (GPS კოორდინატები: X-502825; Y-4600620და) და აღჭურვილია სათანადო კომპლექტაციით, რომლის შემადგენლობაშიც შედის: მიმღები და სამარაგო ბუნკერები, 1 ერთეული წისქვილი (7 ტ/სთ), ლენტური ტრანსპორტიორი, დოზატორი, ჰაერის ფილტრი, ციკლონები, სეპარატორი, 2 ცალი სილოსი, მაგნიტური სეპარატორი, ჰიდრავლიკური სადგური, ჰაერის კომპრესორი და მთავარი ვენტილატორი. საწარმოში წლის განმავლობაში ხორციელდებოდა 42 000 ტონა სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა, დოლომიტი და ბაზალტი) გადამამუშავება. ობიექტის სამუშაო რეჟიმი შეადგენს წელიწადში 300 დღეს, დღე-ღამეში 20 საათს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 220 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წარმადობის გაზრდის მიზნით, არსებულ ობიექტზე გათვალისწინებულია დამატებით ერთი ერთეული წისქვილის მონტაჟი, რის შემდეგაც საწარმოში განთავსებული ორივე წისქვილის ჯამური წარმადობა იქნება 12 ტ/სთ, ხოლო ობიექტის წლიური წარმადობა 42 000 ტონიდან გაიზრდება 55 200 ტონამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწარმოში აღარ განხორციელდება დოლომიტისა და ბაზალტის გადამამუშავება და ობიექტი გადამამუშავებს მხოლოდ კირქვას. გარდა ამისა, შემცირდება საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა და ნაცვლად 300 დღისა, იმუშავებს წელიწადში 230 დღე, დღე-ღამეში 20 საათი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი იწყება დედოფლისწყაროში მდებარე კარიერიდან, მარაგადახურული ავტომანქანების მეშვეობით, ნედლეულის ობიექტის ტერიტორიაზე შეტანით, რომელიც საწყობდება გადახურულ საცავში 4-5 დღის მარაგის უზრუნველყოფით. საცავებიდან მასალა ავტოჩამტვირთველით მიეწოდება 15 მეტრის დაშორებით მდებარე 14 ტონა ტევადობისა და 2 მეტრი სიმაღლის მქონე ბუნკერს (ზომა: 3,5x3,5 მ). ბუნკერიდან მასალა, დოზირების ჩამკეტის გავლით, გადადის 26.3 მეტრისა და 0.6 მეტრი სიგანის მქონე კონვეიერზე (დახრის კუთხე 14⁰), კონვეიერიდან მასალა მიეწოდება 31.6 მ³ მოცულობის სამარაგო ბუნკერს (სიმაღლე 6.6 მეტრი), საიდანაც დოზატორის მეშვეობით გადაინაცვლებს ორ პარალელურად მომუშავე, ვერტიკალური ტიპის წისქვილში. აღნიშნული წისქვილები აღჭურვილია სეპარატორებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დაფქვის სიწმინდის რეგულირებას. წისქვილებს ვენტილატორებით მიეწოდება ჰაერის მძლავრი ნაკადი 500 მმ დიამეტრის მქონე მილებით, რომლებიც უზრუნველყოფს 41 500 მ³/სთ ჰაერის გატარებას. ჰაერის მძლავრი ნაკადი წარიტაცებს დაფქულ მასალას, გაატარებს სეპარატორს და გადაიტანს მას ორ პარალელურად ჩართულ, 9.4 მეტრი სიმაღლის მქონე ციკლონში (თითოეული ციკლონის დიამეტრი 1.65 მ). ციკლონებიდან მასისგან გათავისუფლებული ჰაერი გადადის სახელოებიან ფილტრებში (ზომა: 1.96x 1.59), ხოლო შემდეგ უზრუნველდება ციკლს ვენტილატორების შემწოვი მილების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ჰაერის მოძრაობის ციკლი ჩაკეტილია. ციკლონების კონუსიდან დაფქული მასის გადმოტვირთვა ხდება შნეკების საშუალებით, რომელსაც დამატება ფილტრებში დაჭერილი მასა და მიეწოდება 20.55 მეტრი სიმაღლის ჯამებიან ელევატორებს, რომელთა დახმარებითაც პროდუქტი გადაიტანება 18.2 მეტრის სიმაღლეზე განთავსებულ 150 ტონა ტევადობის სილოსებში. აღნიშნული სილოსები დახურულია და მათი ცილინდრული ნაწილის დიამეტრი შეადგენს 4 მეტრს. სილოსები მოწყობილია სპეციალურ პორტალზე, რომლის ქვეშ განთავსებულ სატრანსპორტო საშუალებებში პროდუქცია იტვირთება ჩამტვირთველის საშუალებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება დედოფლისწყაროს ცენტრალური გზით, რომელიც არ გაივლის დასახლებულ ტერიტორიაზე. საწარმოს სრული სიმძლავრით მუშაობის შემთხვევაში დღის განმავლობაში განხორციელდება ჯამურად 6 სატრანსპორტო ოპერაცია. გადაზიდვები უმეტესად განხორციელდება დღის საათებში, თვეში 26 დღის განმავლობაში, ხოლო წლიურად 11 თვის განმავლობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში დამატებით ერთი წისქვილის მოწყობა არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს, ვინაიდან, იგი ობიექტზე შეტანილი იქნება მზა სახით. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო წისქვილის სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდება კაპიტალურ შენობაში, ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რომელიც ობიექტზე შედის ბუტილირებული სახით. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვება ხდება ამოსაწმენდ ორმოში, რომლის დაცლა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, იმის გათვალისწინებით, რომ დანადგარები განთავსებულია შენობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ აქვს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის გამოყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოში ყველა ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს კაპიტალურ შენობაში, ასევე, ობიექტზე დანერგილია ჰაერის მოძრაობის თითქმის სრულად ჩაკეტილი ციკლი, ციკლონების და სახელოიანი ფილტრების გამოყენებით, ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა სახელოიანი ფილტრის გავლის შემდეგ გაწმენდილი ჰაერის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით (220 მეტრი), არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროა ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 31.2 დბა-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციისას ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია სამრეწველო ზონაში არსებულ შენობაში, ანთროპოგენურად სახეცვლილ გარემოში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრიან რადიუსში, ანალოგიური პროფილის მქონე საწარმოო ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაეგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიური პროცესის, წარმადობისა (55 200 ტ/წელ) და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის (220 მ) გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში შპს „ჯეო-ფილერის“ სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯეო-ფილერი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეო-ფილერს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეო-ფილერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

